1. განვსაზღვროთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების სამართლებრივი ფორმა

ა) ჰიპოთეზა: შესაძლოა, ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ბ) სამართლის ნორმა: სზაკ-ის მე-2 მუხლის დ პუნქტის თანახმად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდვიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

გ) სუბსუმცია: იმისათვის რომ შევამოწმოთ, სახეზე არის თუ არა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, უნდა შევამოწმოთ ამ აქტის არსებობისათვის აუცილებელი ელემენტები გვაქვს თუ არა სახეზე.

გ.1) ადმინისტრაციული ორგანო

ჰიპოთეზა: შესაძლოა კაზუსში მოცემულ შემთხვევასი (კომუნიკაციების ეროვნული კომისია) სახეზე გვქონდეს ადმინისტრაციული ორგანო.

სამართლის ნორმა: სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება.

სუბსუმცია: კომუნიკაციების ეროვნული კომისია გასცემს რადიოსიხშირის სპექტრით სარგებლობის ლიცენზიას, ეს უფლებამოსილება კიდევ სახელმწიფოს მხირადნ აქვს მინიჭებული. ის ახორციელებს მმართველობით ფუნქციას.

დასკვნა: კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

გ.2) კანონმდებლობის საფუძველზე

ჰიპოთეზა: შესაზლოა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება ლიცენზიის მინიჭებასთან დაკავშირებით გამოიცა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

სამართლის ნორმა: გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველია ,,ლიცენზიებისა და ნებართვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-17; მე-18 მუხლები და სზაკ-ის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სუბსუმცია: კომუნიკაციების ეროვნული კომისია დაეყრდნო მოცემულ შემთხვევაში ,,ლიცენზიებისა და ნებართვების " შესახებ საქართველოს კანონის მე-17; მე-18 მუხლებსა და სზაკ-ის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილს.

დასკვნა: კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება გამოცემულია კანონმდებლობის საფუძველზე.

გ.3) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

ჰიპოთეზა: შესაძლოა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სამართლის ნორმა: სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრა ციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართკლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

სუბსუმცია: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სახეზეა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება მიმართულია განსაზღვრულ პირთა მიმართ და ურთიერტობის ხასიათიც არის კონკრეტული. მოცემულ შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილება კონკრეტულად ეხება ტელეკომპანია ივერიას. ხოლო ურთიერთობის ხასიათიც არის კონკრეტული, კერძოდ ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც არის ერთჯერადად გამოყენებადი აქტი.

დასკვნა: ამდენად კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური შინაარსის.

გ.4) მოწესრიგება

ჰიპოთეზა: სავარაუდოდ, კომისიის გადაწყვეტილებას აქვს მომწესრიგებელი შინაარსი.

სამართლის ნორმა: სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად, იასა-ი აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს.

სუბსუმცია: მოწესრიგება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ცალმხრივი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შედეგად განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განსაზღვრა და დაწეება ხდება პირთა შეზღუდული წრის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში ლიცენზიის გაცემაზე უარმა შეუზღუდა ივერიას მოთხოვნით სარგებლობის უფლება.

დასკვნა: სახეზეა კომისიის მხრიდან მომწესრიგებლური ურთიერთობა.

დ) შუალედური დასვკნა: კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

2. დავადგინოთ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (აქტი) არის თუ არა კანონიერი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის კანონიერების განმაზრვრელი ორი კრიტერიუმი არსებობს:

ა. ფორმალური კანონიერება;

ბ. მატერიალური კანონიერება

ა.1) ჰიპოთეზა: შესაძლებელია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აკმაყოფილებს ფორმალური კანონიერების კრიტერიუმებს, თუ ის გამოცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისი ფორმისა და ადმინისტრაციული წარმოების დაცვით.

ა.2) სამართლის ნორმა: ფორმალური კანონიერება მოწმდება სზაკ-ისა და ლიცენზიების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

ა.3) სუბსუმცია: იმისათვის რომ დავადგინოთ, ადმინისტრაციული აქტი არის თუ არა ფორმალური კანონიერების დაცვით გამოცემული, აუცილებელია მისი წინაპირობების სათითაოდ შემოწმება.

ა.3.1) უფლებამოსილება:

ჰიპოთეზა: შესაძლებელია ადმინისტრაციული აქტი გამოცემული იყოს უფლებამოსილების დაცვით.

სამართლის ნორმა: ლიცენზიების შესახებ საქართველოს კანონი

სუბსუმცია: უფლებამოსილება არსებობს ორი ტიპის-ტერიტორიული და საგნობრივი. იმისათვის რომ გავარკვიოთ, არის თუ არა აქტი უფლებამოსილების დარღვევის გარეშე გამოცემული აუცილებელია ორივე მათგანის შემოწმება. საგნობრივი უფლებამოსილება გულისხმობს იმას, რომ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილება, რაც ასევე მოიცავს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასაც. რაც შეეხება ტერიტორიულ უფლებამოსილებას, ეს უშუალოდ გულისხმობს იმას, შედის თუ არა კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიულ იურისდიქციაში, ხომ არ უნდა მოაწესრიგოს ეს ურთიერთობა მდებარეობიდან გამომდინარე სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომ. მოცემულ შემთხვევაში კოუნიკაციების ეროვნული კომისია არის უფლებამოსილი გამოსცეს გადაწყვეტილება ლიცენზიის მინიჭებასთან დაკავშირებით და ასევე, შედის მის ტერიტორიულ იურისდიქციაში, რადგან მთელ საქართველოზე ვრცელდება მისი უფლებამოსილება.

დასკვნა: გადაწყვეტილება არის უფლებამოსილების დარღვევის გარეშე გამოტანილი.

ა.3.2) ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე

ჰიპოთეზა: შესაძლოა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იყოს ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახის დარღვევით გამოცემული.

სამართლის ნორმა: სზაკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისრაციულმა ორგანომ განცხადება 3 დღის ვადაში უნდა შეამოწმოს და დაადინოს შესაბამისობა სზაკ-ის 78-ე მუხლთან მიმართებით. 83-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი, ხარვეზის აღმოსაფხვრელად სულ მცირე 5 დღიანი ვადა უნდა დანიშნოს ადმინისტრაციულმა ორგანომ.

სზაკ-ის 115-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფორმით.

სზაკ-ის 110-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ზეპირი მოსმენის დანიშვნამდე, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაინტერესებულ მხარეს 7 დღით ადრე უნდა აცნობოს მოსმენის დანიშვნის შესახებ.

სზაკ-ის 120-ე მუხლის მიხდვით, ზეპირი მოსმენიდან გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში უნდა იქნეს გამოტანილი.

სზაკ-ის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კოლეგიური ორგანო ამ ორგანოს თანამდებობის პირის აცილების საკითხს წყვეტს, ამ თანამდებობის პირის მონაწილეობის გარეშე.

სზაკ-ის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, როდესაც ხდება გადაწყვეტილების გამოტანა, აუცილებელია, რომ მანამდე ყველა არსებითი გარემოებები გამოიკვლიოს ადმინისტრაციულმა ორგანომ.

სუბსუმცია: ადმინისტრაციულმა ორგანომ სზაკ-ის 83-ე მუხლის პირველ ნაწილთან შეუსაბამოდ, 3 დღის ნაცვლად 5 დღეში განიხილა განცხადება და დადგინა შესაბამისობა 78-ე მუხლთან. შემდგომ ხარვეზის დადგენისას 83-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული მინიმუმ 5 დღიან ვადას გადაუხვია და სულ 3 დღე მისცა იმისათვის რომ ხარვეზები გამოეწყორებინა ივერიას. სზაკ-ის 115-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანა ხდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით, მაშინ როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება გამოიყენა. სზაკ-ის 110-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ზეპირის მოსმენის დანიშვნამდე სულ მცირე 7 დღით ადრე უნდა აცნობოს ადმინისტრაციულმა ორგანომ დაინტერესებულ მხარეს ამის შესახებ. ჩვენ კაზუსში მხოლოდ 4 დღით ადრე აცნობა ადმინისტრაციულმა

ორგანომ ივერიას ამის შესახებ. როდესაც ივერიამ აცილების საკითხი დააყენა, კოლეგიურ ორგანოს იმ თანამდებობის პირის გარეშე უნდა განეხილა ეს საკითხი სზაკ-ის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მასინ როდესაც ამ პირის თანდასწრებით განიხილეს. ლიცენზიის მინიჭებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება 120-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად უნდა გამოიცეს 10 დღის ვადაში, მაშინ როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ ეს 12 დღის განმავლობაში განახორციელა. და ბოლოს, 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანამდე აუცილებელია საქმის არსებითი გარემოებები იყოს გამოკვლეული, მაშინ როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ საერთოდ არ გამოიკვლია ეს გარემოებები.

დასკვნა: ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტი გამოსცა ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახის დარღვევით.

ა.3.3) ადმინისტრაციული აქტის სათანადო ფორმა

ჰიპოთეზა: შესაძლოა ადმინისტრაციული აქტი გამოცემული იყოს წერილობითი ფორმით.

სამართლის ნორმა: სზაკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოცემული იყოს როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმით.

სუბსუმცია: რადგანაც კაზუსში დაკონკრეტებული არ არის უშუალოდ აქტის გამოცემის ფორმა, უნდა ვივარაუდოთ რომ ის გამოცემულია წერილობითი ფორმით.

დასკვნა: აქტი წერილობითი ფორმით არის გამოცემული 51-ე მუხლის შესაბამისად.

ა.3.4) დასაბუთებულობა

ჰიპოთეზა: შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება შეიცავდეს დასაბუთებას.

სამართლის ნორმა: სზაკ-ის 53-ე მუხლში არის აღნიშნული თუ რა შემთხვევებში საჭიროებს ორგანოს გადაწყვეტილება დასაბუთებას და რა დროს არა.

სუბსუმცია: მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მართალია ეხება კონკრეტულად ივერიას და სხვა მესამე პირთა უფლებებს არ ზღუდავს, თუმცა ივერიასთივს არ არის ცნობილი ის ფაქტობრივი გარემოებების და წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც მიღებული იქნა ეს კონკრეტული გადაწყვეტილება. შესაბამისად, გადაწყვეტილება, რაღამც დაკონკრეტებული არ არის, უნდა ვივარაუდოთ რომ გამოცემულია დასაბუთებით.

დასკვნა: ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება შეიცავს დასაბუთებას.

ა.3.5) გასაჩივრების ვადები და უფლება

ჰიპოთეზა: შესაძლებელია რომ მოცემულ გადაწყვეტილებაში დაცული იყოს გასაჩივრებისათვის აუცილებელი ვადები და უფლება.

სამართლის ნორმა: სზაკ-ის 178-ე მუხლის მიხედვით თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტიტ სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

სზაკ-ის 180 მუხლი. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღისან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი

სუბსუმცია: მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც არ არის დაკონკრეტებული უნდა ვივარაუდოთ, რომ სახეზეა გასაჩივრების ერთთვიანი ვადის აღნიშვნა გადაწყვეტილებაში. და ასევე ისიც აღნიშნულია, თუ რომელ ოგანოში უნდა გასაჩივრდეს და რომელმა ორგანომ უნდა განიხილოს საჩივარი.

დასკვნა: მოცემულ კაზუსში დაცულია გასაჩივრებისათვის აუცილებელი ვადა და უფლება.

ა.4) შუალედური დასკვნა: ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ფორმალურად უკანონოა.

ბ) მატერიალური კანონიერება

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების შემდეგ უნდა განვიხილოთ მისი მატერიალური კანონიერება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს, რომ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და არ ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ საკანონმდებლო აქტებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრვი აქტის მატერიალური კანონიერების კრიტერიუმებია მოქმედ კანონებთან და სამართლის პრინციპებთან შესაბამისობა.

ბ.1) ჰიპოთეზა: შესაძლოა, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იყოს მატერიალურად უკანონო, ამისათვის უნდა შევამოწმოთ აუცილებელი ელემენტები.

ბ.2) სამართლის ნორმა: მატერიალური კანონიერება მოწმდება სზაკ-სა და ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

ბ.3) სუბსუმცია

ბ.3.1) შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან

ჰიპოთეზა: შესაძლოა, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მოქმედ კანონმდებლობასთან იყოს შეუსაბამო

სამართლის ნორმა: ლიცენზიის ნებართვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა. კერძოდ, 50-ე მუხლი.

სუბსუმცია: ლიცენზიის შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მიხედვით, ლიცენზიის მიღების საფუძველია თავისუფალი რესურსის არსებობა და პირის განცხადება. მოცემულ კაზუსში ორივე მათგანი სახეზეა. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, ლიცენზიის არ მინიჭების თაობაზე, არის 50-ე მუხლთან შეუსაბამო.

დასვკნა: ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება არის მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო.

ბ.3.2) შესაბამისობა სზაკ-ის პრინციპებთან

ჰიპოთეზა: შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტი ეწინააღმდეგებოდეს სზაკ-ის პრინციპებს.

სამართლის ნორმა: სზაკ-ის პრინციპები

სუბსუმცია:

<u>დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერება</u>

1) ჰიპოთეზა: შესაძლოა სახეზე არ გვქონდეს დარღვევა დისკრეციულ უფლებამოსილებაში.

2) სამართლის ნორმა: სზაკ-ის მე-6 მუხლი და მე-2 მუხლის ლ პუნქტი.

3) სუბსუმცია: დისკრეციული უფლებამოსილება სზაკ-ის მე-2 მუხლის ლ პუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს უფლება, კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგებისას იხელმძღვანელოს კანონით მინიჭებული ალტერნატივებით და ამოარჩიოს მათ შორის საუკეთესო შესაძლებლობა საკითხის მოსაწესრიგებლად. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება არ გააჩნია, რადგან რაიმე სამართლებრივი შედეგის მისაღებად რამდენიმე ალტერნატივა მას არ ჰქონია. იმ შემთხვევაში, თუ დისკრეციული უფლებამოსილება იქნებოდა სახეზე. პირველ რიგში შევამოწმებდით ხომ არ იყო გადაცდომა დისკრევიულ უფლებამოსილებაში. არის 3 სახის გადაცდომა. როდესაც ორგანო საერთოდ არ იყენებს დისკრეციულ უფლებამოსილებას. როდესაც შინაარსიდან უხვევს, რა მიზნითაც აქვს მას ეს უფელება მინიჭებული. და როდესაც ხდება გადამეტება დისკრეციულ უფლებამოსილებაში. რადგანაც სახეზე არ არის

დისკრეციული უფლებამოსილება, შესაბამისად ამ ელემენტში დარღვევა სახეზე არ არის.

4) დასკვნა: სახეზე არ არის დარღვევა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში.

<u>თანაზომიერება</u>

ჰიპოთეზა: შესაძლოა სახეზე გვქონდეს შესაბამისობა თანაზომიერების პრინციპთან

სამართლის ნორმა: სზაკ-ის 7-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება უნდა იყო თანაზომიერი, რამაც არ უნდა გამოიწვიოს პირის უფლებების შეუსაბამოდ შეზღუდვა.

სუბსუმცია: იმისათვის რომ გავარკვიოთ, რეალურად არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება თანაზომიერების პრინციპის შესაბამისი, ამისათვის პირველ რიგში სახეზე უნდა გვქონდეს დისკრეციული უფლებამოსილება. მოცემულ კაზუსში რაღამც არ გვაქვს დისკრეციული უფლებამოსილება, შესაბამისად თანაზომიერების პრინციპზე საუბარი ზედმეტია და იგულისხმება, რომ აქ დარღვევას არ აქვს ადგილი. თუმცა, თუ სახეზე გვექნებოდა დისკრეციული უფლებამოსილება, შემდეგ უნდა შეგვემოწმებინა რამდენიმე ელემენტი, რომ დაგვედგინა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება რამდენად თანაზომიერი იყო.

1) მიზნის დადგენა: ამ ეტაპზე მოწმდება, თუ რა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიზანს, როდესაც ის გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს და ახორციელებს ამა თუ იმ ქმედებას.

2) შესაფერისობა: ამ ეტაპზე მოწმდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არჩეული გზა, მიზნის მისაღწევად, რამდენად შესაფერისია. არის თუ არაზოგადად ამ გზით მიზნის მიღწევა შესაძლებელი.

3) აუცილებლობა: ამ ეტაპზე მოწმდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არჩეული ერთ-ერთი ალტერნატივა მიზნის მისაღწევად, რამდენად აუცილებელია კონკრეტულ შემთხვევაში, ხომ არ არებობს რაიმე სხვა ალტერნატივა და გზა, რითაც იგივე შედეგი იქნება მიღწეული ნაკლები შეზღუდვებით კონკრტული პირის მიმართ.

4) პროპორციულობა: აქ დგინდება რამდენად პროპორციულია ადმინისტაციული ორგანოს მოქმედება, ხომ არ ზღუდავს ის შეუსაბამოდ პირის უფლებამოსილებას მისაღწევ მიზანთან და ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესების დაკმაყოფილებასთან მიმართებით.

დასვკნა: მოცემულ შემთხვევაში ივარაუდება, რომ თანაზომიერების პრინციპის დარღვევა სახეზე არ არის.

<u>კონკრეტულობა</u>

ჰიპოთეზა: შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს აქტი იყოს კონკრეტულობის ნორმის დაცვით გამოცემული.

სამართლის ნორმა: სზაკ-ის მე-2 მუხლის დ პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდულის წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

სუბსუმცია: იმისათვის რომ აქტი იყოს კონკრეტული, აუცილებელია, რომ ის ეხებოდეს პირთა კონკრეტულ წრეს, ასევე კონკრეტულ ურთიერთობას აწესრიგებდეს და მხარისათვის ამრტივად გასაგები იყოს თუ რას მოითხოვს მისგან ადმინისტრაციული ორგანო. მოცემულ შემთხვევასი კონკრეტულობის პრინციპი დაცულია.

დასკვნა: ადმინისტრაციული აქტი არის გამოცემული კონკრეტულობის პრინციპთან შესაბამისად.

შუალედური დასკვნა: ადმინისტრაციული აქტი არის სზაკ-ის პრინციპებთან შესაბამისი.

ბ.3.3) შესაბამისობა ძირითად უფლებებთან

ჰიპოთეზა: შესაძლებელია ადმინისტრაციული აქტი იყოს ძირითად უფლებებთან შესაბამისი.

სამართლის ნორმა: საქართველოს კონსტიტუცია

სუბსუმცია: რადგანაც კონკრეტულად არ არის ამ საკითხთან დაკავშირებით კაზუსში საუბარი ივარაუდება, რომ ადმინისტრაციული აქტი არის ძირითად უფლებებტან შესაბამისი.

დასკვნა: ადმინისტრაციული აქტი შეესაბამება ძირითად უფლებებს

ბ.4) შუალედური დასვკნა: ადმინისტრაციული აქტი არის მატერიალურად უკანონო.

3. საბოლოო დასკვნა:

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტი არის უკანონო.